ნაციონალისტი

ხუთშაბათი ოქტომბრის 14 1920 წ. ნაციონალ-სოც. და აგრარული პოლიტიკის ორგანო № 13 ფასი 10 მან.

მისამართი:
რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

ხელის მოწერა:
წლის დამლევამდე—750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი
მიიღება, ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე—15 მან. 3-4-გვერდზე—10 მან. სამგლოვიარო, განცხადება 30 სტრიქონი—300 მან.

მეცხვარეთა საყურადღებოდ

ბატელის შეგროვება, შენახვა. მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მწყემსს",

რომლის საშუალებით მხ ავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც ბატელი ჩაბარა მთავრობას ამ ხანაგობა „მწყემსის" საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან

ბატელის ადგილობრივად საფასურად,

მიიღებს აგრეთვე წმ.ნდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის ბატელის საბოლოოდ განაღდებამდის ამ ბატელის პატრონად რჩება

ბატელის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის" საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . 45 პროც.
3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . 45 პროც.

შეგროვილი ბატელით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი ბატელი განაღდებული იქნება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

მომარაგების სამინისტრო.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლიო ბატელის საწყობმა, საიდანაც ბატელი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში ბატელის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა ბატელის შესაძენად უნდა მიმართონ

მოსარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან ბატელის მისაღებად

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო ბატელს მიიღებენ „ცეკავშირისაგან", რომელიც ბატელს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

ბატელის ყიდვა გაყიდვა კერძო პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ბატელი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი ბატელი 4.000 მან.
ბ) სუფთა—ახალგოარის და სხვა რაიონების 4.500 მან.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებული არიან** ადგილობრივ **გაყიდონ ბატელი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველ მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ ბატელის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზიადებულად არ იანგარიშოს.

ბატელის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ბატელი თვით მომხმარებელს მიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ ბატელი თავიანთ რაიონში

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები ბატელს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ. № 21 ტელ. 8-07)

სეზონი 1920—1921 წლისა

პარასკევს, 15 ოქტომბერს

გუშინდელნი

ბილეთი 3 მოქმედებათ — შალვა დადიანისა

შემსრულებელნი: ვასილ აბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასილ ბაბაიძე, სუბანაბეჟანიშვილი, მიხეილ გელოვანი, აკაკი ვასაძე, იუზა ზარდალიშვილი, მიხეილ ლორქიფანიძე, ანდრია მურუსიძე, მიხეილ სარაული, პავლე ფრანგიშვილი, ანქიქოძე, ოლიმპიადა ლოლობერიძე, ელენე ციმაკურიძე, ნინო ჩხეიძე, მიხეილ ჭიაურელი.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. **რეჟისორი მ. ქორელი**

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია.

ანონსი შაბათს, ოქტომბრის 16-ს **„გუშინდელნი"** | კვირას, ოქტომბრის 17-ს **„ედიპე მეფე"**

განცხადება

1. თანახმად მთავრობის 30 სექტ. ბრის დადგენილებისა, არავის არა აქვს უფლება გამოიტანოს ხორბლეულობა -ბორის, საღნაღის, თელავის და ახალციხის მაზრებიდან, გარდა მომარაგების სამინისტროსი.

2. მხოლოდ იმ პირთ, ვისაც ზემოაღნიშნულ მაზრებში აქვთ თავიანთი საკუთარი ჭირნახული, არა ყიდვით შეძენილი, არამედ ან ღალა თავის მამულის, ან საკუთარი, ან მისი ოჯახის ნამუშევარი,—ის უფლება ეძლევა გამოიტანოს მაზრიდან თავის ოჯახის საჭიროებისათვის ოჯახზე თვიურ სახარჯოდ არა უმეტეს ხუთი ფუთისა, ე. ი. სამოცი ფუთი წლიურად. ამ რაოდენობის გამოტანა შეიძლება როგორც ერთად, ისე ნაწილობრივ:

შენიშვნა: ხორბლეულობა უნდა გამოგზავნილ იქმნეს რკინის გზით.

3. ხორბლეულობა, საქონლის პატარებლით, თუ ბაგაკით, უნდა გამოგზავნილ იქმნეს აუცილებლად მომარაგების სამინისტროს სახელზე სადგურ თბილისში, სადაც სათანადო საბუთების წარმოდგენის შემდეგ მიეცემა პატრონს ხორბლეულობა.

4. საბუთებად საჭიროა: ა) მოწმობა ადგილობრივ ერობის ან თემის, რომ წამოღებული ხორბლეულობა არის წამომღების საკუთრება და რომ იგი არ არის მის მიერ შესყიდული, თანახმად ამ დადგენილების მეორე პუნქტისა; ბ) პასპორტი ან სხვა მოწმობა პიროვნების; გ) მოწმობა უბნის კომისარის მისი ოჯახის წევრთა ვინაობის და საცხოვრებელის ბინის მისამართი.

5. სადგურ თბილისში დანიშნულია მომარაგების სამინისტროს რწმუნებული, რომლის მოვალეობაც არის ამგვარათ გამოგზავნილი ხორბლეულობის გამოსაგზავნი და მისაღები დოკუმენტების შემოწმება და კანონიერად გამოგზავნილი ხორბლეულობის მის პატრონისადმი გადაცემა და რეგისტრაცია.

6. თუ ხორბლეულობის გამომგზავნი ვერ წარმოადგენს ამ დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ საბუთებს, ან ყალბ საბუთებს წარმოადგენს, ან გაუსაყიდად ჩამოიტანს—ერთმანეთ ხორბლეულობა უსასყიდლოთ და ოვით გამომგზავნი პასუხის გებაში იქნება მიცემული.

7. საზოგადო დაწესებულებანი, რომლებიც მასცემენ ხორბლის გამომტანს ყალბ მოწმობას, აგრეთვე იქნებიან პასუხის გებაში მიცემულნი.

მომარაგების სამინისტრო

საქართველოს

სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბუხჰალტრო კურსებზე

სწავლა (ქართულ ენაზე) დაიწყება 20 ოქტომბერს. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღითაც) 12 – 1 საათამდე პალატის სასკოლო განყოფილებისაგან.
(ეროვნული საბჭოს ქუჩა, № 11 ყოფილი ფრეილინის ქუჩა)

ალექსი ხატისკაცი, სოფიო ლეონიძისა შვილებით, მაშო ელიავა, ალექსი ლეონიძე შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ს. ქოდალოში გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, მეორეთა ძვირფასი შული და მამიდა, ხოლო უკანასკნელთა დაი და მამიდა

ტასო ლეონიძე—ხატისკაცისა

დაკრძალვა პარასკევს, 15 ოქტომბერს.

ნაციონალური პარტიის კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ღვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

დღიური წესრიგი:

I. **მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.**
II. **პროგრამისა და წესდების განხილვა.**
III. **სამაზრო მოხსენებანი (დელეგატებისა).**
IV. **საერობო და საპარლამენტო არჩევნების საამზადისი.**
V. **არჩევნები მთავარი კომიტეტისა**
VI. **მიმდინარე საკითხები.**

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელ-ნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ალაგები განაწილებულია მაზრებს შორის დამთუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე—ერთი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

ეკონომიური პრიზისი და ოპოზიცია

გასული „ერთობის“ უკანასკნელი მეთაური გულწრფელად აღიარებს, რომ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეკონომიური გაჭირვება უდრის ომის დროს ფრონტზე გაჭირვებას და მოითხოვს ისეთსავე ეროვნულ ერთსულოვნობას, როგორც ომის დროს.

„დადგა დრო, როდესაც ერმა კიდევ ერთხელ უნდა გამოიჩინოს ერთი მთლიანი ნების ყოფა. მაგრამ ეროვნული ნებისყოფის გასაერთიანებლად არის ერთი აუცილებელი პირობა. იმ ეკონომიური გაჭირვებით, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას თავს ატეხია, არავინ უნდა ისარგებლოს პარტიული ანგარიშების გასასწორებლად და პარტიული ინტერესებისათვის. ჩვენ გვყავს ოპოზიციური პარტიები, ძალიან ხშირად ამ ოპოზიციურ-პარტიებს გაეფთრებით და დაუნდობლათ უბრძოლიათ მმართველი პარტიის წინააღმდეგ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს გაეფთრება და პარტიული ანგარიშების გასწორება მუდამ ყუბდებოდა, როდესაც კი რესპუბლიკის არსებობა საფრთხეში ვარდებოდა“

„სახელმწიფო ორგანიზმის გაწმენდაზე და გაჯანმრთელებაზე ყველამ განურჩევლად მიმართულებისა და პარტიული რწმენისა, შეერთებული ძალებით ვიმუშაოთო“ დასკვნის „ერთობა“.

მართლაც რა! დიდი უნდა იყოს გაჭირვება ხალხისა და მთავრობისაც, რაკი მმართველი სოციალ-დემოკრატია ასეთი ენით ალაპარაკდა...

მაგრამ განა მარტო ლაპარაკი, მარტო სიტყვები კმარა იმისთვის, რომ მთლიანი ეროვნული ფრონტი შეიქმნას?

ჩვენ არ გვეგულება არც ერთი ქართული პარტია, რომ დამოუკიდებლობის საქმეს ოპოზიციის პოლიტიკური ინტერესი არ ანაცვალოს, მაგრამ ეკონომიურ შინაურ ფრონტზე ოპოზიციურ ძალებთან გაერთიანება უფრო ძნელია, ვიდრე ჯარში საბრძოლო ფრონტზე..,

ჩვენში არის ოპოზიცია მემარცხენე—სოციალისტური და მემარჯვენე—არასოციალისტური.

აქამდის მთავრობის პარტია იმით ინუგეშებდა თავს, რომ ამ ორ ოპოზიციის შუა იდგა და როგორც ცენტრი უარყოფდა მემარცხენე და მემარჯვენე „უკიდურესობას“.

ეხლა ამ შუაში დგომით მთავრობის პარტია დაიდალა, სახელმწიფო საქმეს ველარ აუდის და ოპოზიციას თანამშრომლობისაკენ ეძახის.

მაგრამ თანამშრომლობა შეუძლებელია ეკონომიურ ფრონტზე მაინც ერთ და იმავე დროს მემარცხენე და მემარჯვენე ოპოზიციასთან.

ან მარცხნივ, ან მარჯვნივ კიდევ ერთხელ დგება ეს საბედისწერო საკითხი მართველ სოციალ-დემოკრატების წინ.

მარჯვნივ—ევროპისკენაა. გზა, მარცხნივ რუსეთისაკენ.

დროა, ერთ გზას დავადგეთ საბოლოოდ!

საერთო კლუტოკრატიზმი

ჩვენი სახელმწიფოს მმართველობის აპარატები ისე არის მოწყობილი, რომ ყოველ დაწესებულებას აქვს საშუალება აწარმოოს თავის საკუთარი პოლიტიკა. სახელმწიფო დაწესებულებათა ავტონომიური ქართვა-გამგეობის წესი განსაკუთრებით მძიმედ აწვება სახელმწიფოს ფინანსებსა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ბონების ნახევარზე მეტი იკარგება სახელმწიფოისათვის სრულებით უსარგებლოთ, ასე ვსთქვათ, პლუტოკრატიულად.

პლუტოკრატიზმი განსაკუთრებით ახასიათებს ჩვენს ეროებს: სამაზრო ეროება ჩვენში ფედერატიულ სახელმწიფოს წარმოადგენს თავის თემებით,—სახელმწიფოს, რომელსაც აქვს თავის საკუთარ ფინანსები და ფინანსიური პოლიტიკა.

ეროების გამგეობა ამ ფინანსიური პოლიტიკიდან მოხერხებულად ჰქმნის იმას, რასაც ფრანგები იძახიან „ეშპაკობის ინდუსტრიას“: რომელიმე ეროების თავჯდომარეს ან წევრს უფლება აქვს გამოიტანოს ხაზინიდან იმ კრედიტით, რომელსაც მთავრობა ეროებას უხსნის, თანხა, რომელიც და რამდენიც მას პირადათ მოესურვება.

ჩვენს ეროებში ამნაირად გამოტანილი თანხისათვის არსებობს განსაკუთრებული ტერმინი „საანგარიშო ავანსები.“ „ავანს პოდატჩოტ „ეს“ ავანსი“ ეროების წევრის განკარგულებაშია: თუ უნდა ამ ფულს იგი მოიხმაროს თავის საჭიროებისათვის, თუ უნდა გაასესხებს; ანგარიშს კი ეროების გამგეობას ჩააბარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოისურვებს, თუნდაც ერთი წლის შემდეგ. დღეს ყველამ იცის, რომ ასი ათასი მანეთი იძლევა თვიურად ოცი ათასს მან. სარგებელს. ეროების გამგეობის წევრები ხშირად მილიონებს ატრიალებს წლიურად და, რა თქმა უნდა, ზოგიერთები ლაღად სადგებლობენ მდგომარეობით: მათ სრულებით არ აწუხებს ფიქრი იმაზე, რომ ამ პირობებ'ი არსებობა არ შეუძლია სახელმწიფოს.

მთავრობა ვალდებულია საზღვარი დაუდოს ამ ახალ პლუტოკრატიას...

კ. კაპანელი.

მცხეთა

მცხეთა სურნელია სიძველის და საქართველოს დამწვარი ქიმერა. მისი დამჭრალი სუნთქვა დღესაც აცოცხლებს რელიგიურ არსს; საქართველოს ძველ ტახტებს და მალალ ბრწყინვალებას...

მცხეთაში მრავალი რელიგია დაიფერფლა და მრავალი ამაყი ღმერთი დაეცა. მისმა ტაძარმა დიდი სახელები დაჰკარგა, მაგრამ მათმა სიწმინდემ აკურთხა იგი...

მცხეთა იყო წარმართული იერუსალიმი. იქ იყვნენ ღმერთები, რომლებზედაც ქართული მატიანე რელიგიური თროლით ლაპარაკობს...

ძველი მწერლები ლაპარაკობენ კიდევ ძველ მისტერიებზე, რომელნიც დუმილით იფარება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ქართული მისტერიები იყო სკოლა სულის უკვდავების.

აქ იყო ყველა ის მისტიური კარნავალები და პროცესიები, რომელნიც „არალე-“ს ძახილით აღვიძებდნენ ყველა გადასულ სულებს, რომელთა ღვთიური წარმოშობა და რელიგიური არსობა აუკვდავებდა იბერიელს...

და მერე კი... ამ ორი მდინარის კიდეზე დაინაცრა წარმართულ საქართველო...

მაგრამ აქვე ნორჩ ვაზზე ნინოს ცხელი თმებიც ასურნელდა...

მერე აქ აღმოცენდა სვეტი ცხოველი და მან დაჰფარა ქართული ჰენია და ქართული რასსაც.

მთელი საქართველო მან შეიწირა: თავისი რაინდების ზღვა ჯარებით, სიმდიდრით და კეთილდღეობით.

ამიტომ თითოული ქვა ამ ტაძარის ამოვლებულია საქართველოს სისხლში.

ეს გაუგებარი ტაძარი განაგებდა საქართველოს, როგორც დიდი მონარხი დირიჟორი და მთელ საქართველოს უმორჩილებდა ერთს ზნეობრივ ხელმწიფეობას, ერთს რწმენას და წესწყობილების განწტკიცებას...

რადგან ქრისტიანული რელიგია იყო საქართველოსთვის არა მარტო ზნეობრივი სისტემა, არამედ ძალაც ღვთიური, საშუდამო და ვის არ უგვრძნია საუკუნოებში დამდგარ ტაძარში შესვლისას ის საღვთო შიში, რომელზედაც ბერძნები ლაპარაკობენ...

თანამედროობის იქვებით დაქანცული თქვენ ისვენებთ ამ მეფური ქვების ჩრდილში როგორც მსხვილი მუხის ქვეშ. ძველი სიმშვიდე და სურნელი შედის თქვენში და ჰგრძნობთ საქართველოს სხეულის შეხებას. სულში მყარდება ზომიერება და სინათლე.

საქართველოს მარადი სული მიდალი და ფანტასტიური კიდევ არ დამქრალა..

ჰიგანტიკური ლანდები დაჰქრიან ირგვლივ, ღვთის განცხრომის სახლში და აჰყეხარ-თ საქართველოს სიმაღლესთან...

ბ. ლ.

მოწამეთა

ღვინობისთვის 15-ს, მთელი იმერეთი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს ხსენებას წმ. მოწ. დავით და კონსტანტინეს მოწამეთის მონასტერში, რომელიც მდებარეობს ქუთაისიდან ექვს ვერსზე, მდ. წყალწითელაზე. შუატყეში მდინარის კლდეებზე. მონასტრის საშრეკლოდან იშლება წარმტაცი და ჭკაცრი სურათი წყალწითელას ხეობისა. თითონ ეკლესია მცირეა და ვიწრო, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს გაფართოებულია. ეკლესია მოხატული ყოფილა. ალაკ-ალაგ ფრესკები სჩანს. ძველ ხატებში დარჩენილა ხატი ღვთისმშობლის ხარებისა წმ. დავით და კონსტანტინეს სახეებით, უძველეს დროს ეკუთვნის ვერცხლით მოჭედილი ხატიც ქრისტეს მობისა. საკურთხევლში აჩვენებენ აგრეთვე ძველ ჯვარს, რომელსაც ეპისკოპოსები ატარებდნენ ლიტანიაზე, ჯვარი მოჩუქურთმებულია და ვერცხლით მოჭედილი.

ჰფიქრობენ, რომ მოწამეთის ეკლესია აშენებულია XI ს. ბაგრატ IV-ის მიერ. ამ მოსაზრებას ადასტურებს მოოქროვილ ჯვარის წარწერა, რომელშიც იხსენიება „ბაგრატი მეფე აფხაზთა და ნობილისსუმი“.

მეორე მოსაზრება მიაწერს მის აგებას ბაგრატ დიდს, რომელიც იმერეთში მეფობდა 1366—1395 წ. მის დროს აღმოაჩინეს ლუსკუმა წმ. მოწ. დავით და კონსტანტინესი, რომელნიც ეწამნენ არაბთა ხალიფის მურვან ყრუსაგან VIII ს. ნახევარში. იგინი იყვნენ არგვეთის თავადები და მურვან ყრუს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს, მათი ლუსკუმა ბოლო ხანს ვინმე სულტანოვიჩმა განაახლა.

დეპეშები

(ინ. დეპ. სააგენტოსი)

რუსეთის ცნობები.

მოსკოვი. 12 ოქტ. საშხედ. ცნობა. მინსკის დასავლეთით რატოვ-ვოიდაროვის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. სლუცკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ რამდე-

ნიბე სოფელი ავიღეთ. ჟიტომირის რაიონში ჩვენ მტერი დაბა პულინიდან გამოვდევნეთ. პროსკუროვის მიმართულებით ნოვოკონსტანტინოვსკთან ჩვენზე მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ უკუვაგდეთ. ნოვო-უშიცის რაიონში ჩვენი. შეტევა სასურველად ვითარდება, ჩვენ დაბა კამენოვი და კერბოვეცი ავიღეთ. ალექსანდროვის რაიონში დნესტრის მარჯვენა ნაპირზე მტერმა შემოგვიტია ჩრდილოეთის მიმართულებით და ალექსანდროვის ჩრდილოეთ-დასავლეთით 20 ვერს, სოფლები დაიჭირა, მაგრამ ჩვენ კონტრ-იერიშით დავამარცხეთ. მტერი დიდის ზარალით სამხრეთის მიმართულებით უკან იქცევა. ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები და მარაოვსკის დივიზიის ორი როტა გავანადგურეთ. ორეხოვის რაიონში ჩვენი ჯარი ქალ. ორეხოვის აღმოსავლეთით 12 ვერსზე ედიბურის. პოლოგი-ბერდიანსკის რკ. გზ. რაიონში სადგ. პოლოგის ხელში ჩასაგდებად ბრძოლა სწარმოებს. ვერხნე-ტომაკის რაიონში ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო და შეტევას განაგრძობს.

ყაზანში თათართა სახალ. კომ. საბჭოს თავჯდომარეს საიდ გალიევს თავს დაესხენ. ის დაიბარეს ვითომდა სხდომაზე, და როდესაც სახლიდან გამოვიდა, უკანიდან მას ესროლეს. ამხ. გალიევი ხელში დაჭრილი მსუბუქად.

სოფ. ტუნდუტოვო-ცარიცინკაში ომები გავრცელდა **წმინდანების** მოვლინების შესახებ. ადგილობრივმა მღვდელმა აუხსნა ხალხს, რომ ეს სიცრუეა.

პოლონელებმა ვილნო დაიჭირეს. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთსა და ლიტვის შორის საზავო შეთანხმება მოხდა, პოლონელებმა ლიტვის სატახტო ქალაქი ვილნო აიღეს.

ვრანგელი საფრანგეთის დახმარებას რუსეთის პურის ფასით ყიდულობს. გატანილს გარდა ვრანგელს კიდევ 5 მილ. ფუთი ხორბალი მოუგროვებია გასატანად.

ლატვიის მთავრობამ მიქრთამეობისთვის და ქურდობისთვის 258 მოხელე დაითხოვა, მათ რიცხვში რამდენიმე თვალსაჩინო პირია, არის მინისტრთა ამხანაგები.

ინგლისელები, მიუხედავად განცხადებისა მაინც განაგრძობენ **ვრანგელის** დახმარებას და სევასტოპოლში სამხედრო იარაღის ზიდვას.

ინგლისის ინდოეთში რკ. გზელთა გაფიცვები დაიწყო.

9-10. **ბაშქირის** რესპუბლიკა რაზმს აგზავნს.

10-10. რიგაში ლიტვის მისიამ პოლონელების მიერ ვილნოს აღების შესახებ ოფიციალურად ცნობა მიიღო. **ვილნოსთან** იმყოფება ლიტვის თეთრგვარდიელთა დივიზია ივაშკევიჩის მეთაურობით. ეს დივიზია ვილნოში შესვლას რიქრობს, პოლონეთის მთავრობა განმარტებას იძლევა, რომ ვილნოზე შეტევა მისი განკარგულებით არ ყოფილა, მაგრამ როგორც სჩანს არ უნდა დაიცვას თავისუფლება ლიტვის სატახტო ქალაქზე.

11-10. გაფიცვების გამო **ინდოეთში** რკ. გზებზე მიმოსვლა შეჩერებულა. ვალიუტა სიბნელეში არის მოცული. ბომბეიში გაფიცულია 1500 მუშა. ელექტრ. სადგური და სხვა.

ინგლისტანში.

სიმლიდან ამერიკულ გაზეთებს აუწყებენ:

„ჯემალ-ფაშა, ყოფილი ოსმალეთის მინისტრი და შემდეგ მთავარსარდალი პალესტინის და სირიის ფრონტებზე, გაემგზავრა ქაბულს. ამბობენ, რომ ეს მოგზაურობა გამართულია მოსკოვისგან, მაგრამ უფრო კი ნამდვილია, რომ ჯემალ-ფაშის მისიას კავშირი აქვს პანისლამისტიურ მოძრაობასთან, ვიდრე ბოლშევიკებთან“.

სომხეთ ოსმალეთის ომი

სამხედრო ცნობები.

სომხეთის რესპუბლიკის მომქმედ ლაშქრის შტაბის ოპერატიული ცნობები.

სარიყამიშის მიმართულებით სალამოთი 9 ოქტომბერს ოსმალები გადავიდენ შეტევაზე ს. ს. პლაუჩამიდან და ივანპოლიდან იგდირზე. ბრძოლა გრძელდება. მერდენეკის მიმართულებით 8 და 9 ოკტ. ოსმალებმა ს. დემურგაპთან პოზიციები დაიჭირეს. ზარუშადში სომხები სოფელ ჭერაშენამდე მივიდნენ. გაჰგადიონთუს. მოსახლეობას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

კარლოს კაუცკი.

გაზ. „მშაკის“ ცნობით კაუცკიმ დეპეშით მიჰმართა ინტერნაციონალს, რათა მან დაბრკოლება არ აუწიოს ევროპის დიდ სახელმწიფოებს სომხეთისა და საქართველოსთვის საშველოდ დახმარების გამოგზავნაში.

ლეგარნი ერევანში.

ოკტ. 11-ს საგანგებო მატარებლით ერევანში ჩავიდა საბჭ. რუსეთის რწმუნებული ლეგრანი. ლეგრანს სადგურზე დაჰხვდნენ სამხ. მინისტრის თანაშემწე გენ. ახვერდოვი, სომხ. საკ. საქ. მინ. ამხ. პეტროსიანი და სხ. პეტროსიანმა სიტყვით მიჰმართა ფრანგულ ენაზე. ტერტერიანის შეკითხვაზე, თუ რა შთაბეჭდილება იქონია სომხეთის გზებმა, ლეგრანმა მადლობა გადაუხადა იმ განსაკუთრებულ ყურადღებისათვის, რომელიც მას მოგზაურობის დროს აღმოუჩინეს სომხეთის გზებზე.

ქრონიკა.

სვეტიცხოვლობის დღესასწაულის გამო ჩვენი გაზეთი ხვალ არ გამოვა.

მცხეთის მატარებლები. დღესასწაულის გამო დანიშნულია საგანგებო მატარებლები თბილისსა და მცხეთის შუა.

თბილისიდან: დილის 6 ს. 56 წ. 8 ს. 25 წ. დღის 12 ს. 2 ს. 7 წ. და 4 ს. 25 წ. მცხეთიდან: დილის 9 ს. 58 წ. 10 ს. 57 წ. 2 ს. 8 წ. 4 ს. 21 და საღ. 8 ს.

ახალგაზეთი „ბარიკადი“ ორშაბათს 18 ოქტომბერს გამოვა ყოველკვირეული გაზეთი „ცისფერი ყანწელების“ „ბარიკადი“ პოეზია, ესთეტიკა, პოლიტიკა რედაქტორი ტიციან ტabიძე. მისამართი: სასტ. „კავკაზი № 44—45.

ალ. არსენიშვილი. თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ალექსი ილიას ძე არსენიშვილი მისივე თხოვნის თანახმად განთავისუფლდა თანამდებობისაგან და ნაფიც ვექილთა კორპორაციაში გადავიდა.

სისხლის სამართლის მილიცია. სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ეაჩულიამ გაფრთხილება მისცა თავის თანაშემწეებს, უფროს აგენტებს, უმცროს მილიციელებს და ფარულ აგენტებს, რომ მათ თავიანთ მოვალეობის დროს დამნაშავე პირებისადმი არავითარი უკანონო მოქმედება, როგორიცაა მაგალითად ფიზიკური და მორალური შეურაცყოფა და სხვა არ, გამოიჩინონ. აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ ხალხის გულში ჩაიგეჭდოს მტკიცე აზრი და რწმენა იმისა, რომ სისხლის სამართლის მილიციის სამმართველოში არსებობს კანონი და მიზან შეწონილი მდგომარეობა და არა უკანონო მოქმედებანი.

სტუდენტებისათვის. ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს სამხედრო სამინისტროს წინაშე, რათა მან ქალაქის თვითმართველობას გადასცეს ყოფილი „სპაიორის ბიბალიონის“ შენობა სპაიორის ქ. სტუდენტთა თავშესაფარის მოსაწყობად.

შეშის ნიხრი. ქალაქის გამგეობამ პირველ ოქტომბრიდან გაადიდა შეშის ნიხრი: მაგარი ხარისხის შეშა 12 ვერშოკიანი ერ-რება 12000 მანეთი, 24 ვერშოკიანი 11500 მან. რბილი ხარისხის შეშა 12 ვერშ. 10.000 მან; 24 ვერშოკ. 9,500 მან; ფუთობით: 1 რაიონში 60 მან., 2 რაიონში, 63 მან., 3 რაიონში 66 მან., 4 რაიონში 69 მან.

სასურსათო საქმეები. სასურსათო განყოფილების გამგეობის წევრს კ. ფანიევს ნება დაერთო აიღოს სესხთა სასურსათო ოპერაციების საჭიროებისათვის, ფარულეულობის დაგირავებით ქვეშ 1.500.000 მან. აზოვ-ღონის ბანკიდან და 1.000.000 მან. პეტროგრადის საერთაშორისო ბანკიდან ერთი თვის ვადით.

„კახეთი“.

კახელ მეღვინეთა კოოპერატიულ საზოგადოებას „კახეთს“ გადაეცა ავლაბრის რიგზოვი მოედანზე შადინოვის მალაზია.

ბინების რეკვიზიციის წესი

ქალაქის გამგეობამ შემდეგი ინსტრუქცია მიიღო: 1) მოქალაქეთა იძულებითი გადასახლება სახლებიდან აკრძალულია.

შენიშვნა: პირველი მუხლი არ შეეხება იმ მოქალაქეთა ბინებს, რომელნიც საჭირო იქნებიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებათათვის. 2) ბინები, რომელნიც განთავისუფლებისთანავე გადადიოდა ქალაქის გამგეობის განკარგულებაში და იბეჭდებოდა, დღეიდან ანგარიშიდან იხსნება და ბრუნდება მეპატრონეთა განკარგულებაში. 3) ბინები და ოთახები აიღება ანგარიშში განსაკუთრებული წესით ყოველ კერძო შემთხვევაში ცალკე. 4) ბინები და ოთახები მიეცემათ ა) სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათ. ბ) ისეთ პასუხსაგებ თანამდებობისაგან სპეციალისტ მუშა მოსამსახურეთ, რომელთაც ქალაქში სრულიად არ აქვთ ბინა, ხოლო მათი ყოფნა ქალაქში აუცილებელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმისათვის. ასეთი საჭიროება ყოველ კერძო შემთხვევაში დადასტურებულ უნდა იქმნას სათანადო უწყების ან დაწესებულების უმაღლეს ორგანოსაგან.

ქალაქის საბინაო განყოფილებას რეორგანიზაცია უყვეს. მისი მოქმედების ახალი გეგმა არის შემუშავებული. თანახმად გეგმისა კერძო ბინის დათვალიერება გამგეობის წევრის მიერ ხელმოწერილ ორდერებით შეიძლება. ორდეროთ არაფის არ აქვს უფლება ბინის დათვალიერებისა. სარეკვიზიციო კომისია ისპობა. ბინების დასათვალიერებლად არსდება საგანგებო აგენტების თანამდებობანი, რომლის რიცხვის აყვანა შეიძლება 5-მდე. მილიციის უფროსს ევალება მიიღოს ზომები, რომ განკარგულებანი ბინის საკითხის შესახებ დაუყოვნებლივ იქნეს მოყვანილი სასრულეში საარაონო კომისრების მიერ.

ქალალდის ფასები.

7-ს თებერვალს საწერი ქალალდი ღირდა—ფუთი 600 მ., ივლისში 1500 მ., აგვისტოში 2000 მ. სექტემბერში 3000—4000 მ.

გაზეთის უფროული ქალალდის ფასი (სახეობის) თებერვალში ფუთი ღირდა 400 მ. მაისში—500 მ. ივლისში 1000 მ. აგვისტოში 1200 მ. აგვისტოს 15 დან. 1500 მ. სექტემბრიდან 2500 მ. ამ ციფრებიდან ნათლად დაინახავს მკითხველი, თუ თვითონ მომარაგების სამინისტრო როგორ მიყვება კვალდაკვალ ბაზრის სპეკულიანტების ნაკარნახევ ფასებს. (ა. ნ.)

ელექტროენის ნიხრი.

— გამგეობის წევრის კ. ფანიევის მოხსენების თანახმად ქალაქის ელექტრონის ენერგიის ძალზე გადიდებულია ნიხრი ამნაირად: სახელმწიფო და საზოგადო ბინებზე კილოვატი 38 მან., სავაჭრო, სამრეწველო და გასართობ დაწესებულებებზე 52 მან., ათ სანთლიან ლამპაზე სახელმწიფო და საზოგადო ბინებზე 68 მან. სავაჭრო, სამრეწველო და გასართობ დაწესებულებებზე 95 მან., 16 სანთლიანზე სახელმწიფო და საზოგ. დაწესებ. 110 მან. სავაჭრო, სამრეწვ. და გასართობ დაწესებ. 140 მან. 25 სანთ. ლამპაზე სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებზე 171 მან. სავაჭრო და სამრეწველო დაწეს. 234 მან. 32 სანთლიანი საზოგადო და სახელმწიფო დაწეს. 220 მან. სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებზე—280 მან. 50 სანთლიანი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებზე—342 მან. სავაჭრო და სამრეწველო დაწეს.—468 მან. 100 სანთლიანი საზ. და სახელმწ. დაწესებ,—684 მან. სავაჭრო და სამრეწველო—930 მან.

ქუთაისის ერეგა.

(**სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან**).

სალაროს დავთარის მიხედვით რჩებოდა ნაღდათ სალაროში მდგომარე წლის იანვრისთვის 23562 მან. 04 კაპ., შემოსულა პირველ იანვრიდან მდგომარე 10 ივლისამდე მითვლით 54327932 მან. და 03 კაპ. დახარჯულია ამავე დროს განმავლობაში 51476434 მან. და 91 კაპ. რჩება ნაშთი 11 ივლისისთვის 3087109 მან. და 61 კაპ. რომლიდგან ნაღდი ფული ქართული ბონებით არის 876920 მ. და 64 კაპ. კერენსკის ბონები—63810 მან. თავისუფლების სესხის ბილეთები—2918 მანეთი. აზოვ-დონის ბანკის ჩეკი—2000 მან., ყალბი ბონები გოთელების სასარგებლოდ შემოსული შემოწირულებათაგან 1378 მან. და ნაწილობრივათ განაღდებული ასიგნობებით 2140083 მან. 12 კაპ. რადგანაც სარევიზიო კომისიას განსაზღვრული, მოკლე

დრო ჰქონდა, მან შესძლო გამოერკვია დაწვრილებით მხოლოდ ავანსებისა და სხვა პირთა ანგარიშები, მხოლოდ რაც შეეხება დანარჩენ ანგარიშებს და საზოგადოთ დაკთრის წარმოებას, კომისია იძულებულ გახდა მხოლოდ გადახედვით დაკმაყოფილებულიყო. ავანსების გაცემის საქმეში დარღვეულია არსებული ინსტრუქცია, ვინაიდან ერთ და იმავე პირზე გაცემული 25 ავანსი და ერთიც არ არის დაფარული, როდესაც ინსტრუქციის ძალით მეორე ავანსი ერთ და იმავე პირს არ მიეცემა თუ კი არსებული არ დაფარა. დღემდი დაუფარავია შარშანდელი რამოდენიმე ასი ათასი მანეთის ავანსი. მდგომარე წლის იანვრისთვის რჩებოდა სამოცდაექვსი სხვადასხვა ანგარიშებზე 701607 მან. და 9 კაპ. ამავე დროს ზოგს ზედმეტი საბუთები აქვს წარმოდგენილი 11.546 მან. 99 კაპ. კომისიამ შესძლო გამოერკვია მდგომარეობა მხოლოდ პირველ ივანობისთვის, ვინაიდან 1920 წ. დავთრებში ოპერაციები 23 ივნისამდისაა გატარებული და ივანობისთვის ბალანსი არაა შემდგარი. აღმოჩნდა, რომ ივნისისთვის რჩება დაუფარავი შარშანდელი ავანსების 549455 მ. და 66 კაპ. და წრევანდელია 3701823 მან. და 88 კაპ. სულ კი 4201269 მან. და 54 კაპ. წელს ას თორმეტ კაცზეა გაცემული ავანსი. შარშანდელ 66 ავანსატორიდან მხოლოდ 12 კაცს დაუფარავს ზოგს მთლად და ზოგს ნაწილობრივ. კომისიამ გამოარკვია, არ არის სინვენტარო დავთარი და მხოლოდ ეხლა 1 ნოემბერს დაწყებულა მუშაობა საინვენტარო სიების შესადგენად. არ წარმოებს მასალების ჯეროვანი ანგარიშები და სპეციალური დავთრებს მოძიავ-უძრავის ქონებისას ჯერ არ წარმოებენ. დაუსკვნელია შარშანდელი დავთრები. გადმოტანილია ნაშთი წასული წლისა წრევანდელ სპეც ალღრ დავთრებში, შარშანდელ დავთრებში ზოგან ჯამები არ ჩამოგდებ. ივანობისთვის ბალანსი სულ არ არის შემდგარი და ზოგ დავთრებშია გადარიცხული ოპერაციები გასულ 23 ივნისამდის, ზოგ დავთრებში შარშანდელი ოპერაციები არაა სავსებით შეტანილი.

არაა სავაჭრო დავთრების წარმოება. შეფასებისა და საბუთების უქონლობის გამო. შემოსავალში არაა შეტანილი ეს თუ ის საქონელი და საგანი. საბუჯეტო დავთრებიდან გამოირკვა, რომ წასულ წელში ნავარაუდევი შემოსავალი სამესამედზე არაა გამართლებული და გასული საანგარიშო წლიდან დიდი დეფიციტია მოსალოდნელი. არ არსებობს კონტროლი, ამიტომ ისეთ დიდ დაწესებულებებში, როგორიც ეროვნაა, კონტროლის არარსებობა ყოვლად მიუღებელია. არ წარმოებს ბუხგალტერიაში საღამობით მუშაობა, რის გამო შეუძლებელია დავთრებში მიმდინარე ოპერაციების გატარება.

თავმჯდომარე ლორ. გრიგოლია მომხსენებლის მოხსენებას დასძენს, რომ სანამდის ავანსი არ იქნება გამართლებული და დაფარული, ისე მეორე ავანსი არ უნდა მიეცეთ. თუ რამე ნაკლი აქვს ბუხგალტერიას, ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ეროობა დატვირთულია უამრავი საქმეებით. ამ ნაკლის გამოსწორება შეუძლია კონტროლს, რომელიც უნდა იქნეს შემოღებული დაჩქარებით.

ეკლესიის გამოყოფის გამო

ამას წინად ვინმე ი. ხოტეველი „სახალხო საქმე“ (№№ 927 და 929) სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის გეგმას უკარნახებდა მკითხველ საზოგადოებას, აღბად, მიზნით მოამზადოს ის ამ დიდ ცვლილებისათვის.

ის ბრძანებს: „ჩვენში არსებული სოციალისტური პარტიები მოითხოვენ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას, საეკლესიო მამულების ჩამორთმევას და ეკლესიის ოპეკისაგან სკოლების განთავისუფლებას“...

საკვირველია კადნერება ხოტეველისა, როდესაც ის მთელი ქართველი ერის მომავლის გადაწყვეტას სოციალისტების ტყაკში გახვეულ ვაჟბატონების ჟინიაობას ანდობს. თუმც სიმართლეს მოკლებული იქნებოდა, მაგრამ ქართველი ერის შეგნებული ნაწილი მოითხოვსო — რომ ეთქვა, კიდევ რომ ლირებულება ექნებოდა. განათლებულს ქვეყნებში სოციალისტების ამლაგმველი ძალები ბლომად მოიპოვება და, ამიტომ იქ სოციალისტების მოქმედება პროგრამის ფარგალში ტრიალებს, ჩვენში კი მათი ამლაგმველი ძალები არ არის და ამიტომ სოციალისტობა ევროპიულ ცრუ სოციალისტობად გადაიქცა. რაც უნდათ, იმას შვრებიან, დანგრევა-დაქცევის გარდა, უნარი შრომისა ვერ გამოიჩინეს. ქართული ანდაზაა: მტყუანს კარამდე მიჰყეიო და მეც მივყვები და ვჰკითხავ: ბ. ხოტეველს, სად არის ჩვენში სოციალისტები და მათი პარტიები? ნუ თუ ის ვაჟბატონები, რომელთაც ფიზიკურად შრომის უნარი დაუკარგავთ, ხალხს უქადაგებენ თავისუფლებას და თანასწორობას და თვითონვე მონობის უღელს ადგმენ, გამოპრანჭულან ევროპიულ ტანისამოსში, დრეებას ატარებენ კლუბ-რესტორან-გასტრონიცებში და თეატრ-სინემატოგრაფებში, ჯიბეს ივსებენ ფულებით და მუცელს—საუკეთესო საქმელებით, ქოსმანებივით სუქდებიან, მშრომელი ხალხის ზურგზე ბუქნობენ, და თავის თავს ქვეყნის გამაბედნიერებელ სოციალისტებს უწოდებენ, მართლა სოციალისტები გგონიათ! ესენი მატყუარნი და მცარცველნი არიან, ღუპავენ საწყალ-ბედშავ მშრომელ ხალხსა და უბედურების შეტი არა მოაქვთ რა მისთვის.

ამიტომ ქართველმა ერმა, თავისი სიკეთე თუ უნდა, თვითონ უნდა მოაწყოს თავისი საქმე დაფიქრებით და აუჩქარებლივ, რომ ახალ ბატონთა მონობის ულელი არ დაიდგას. ბ. ხოტეველი ბრძანებს: სინდისის თავისუფლება ნიშნავს მას, რომ ყოველს მოქალაქეს აქვს სრული და განუსაზღვრელი თავისუფლება სარწმუნოებრივს საქმეშიო და სხვა...

ქართველი ორი მილიონი მაინც იქნება, თუ მეტი არა, და ამოდენა სულის ბედიღბალს და მოთხოვნილებას ხორცელს და სულიერს რომ ბ. ხოტეველი ერთ მუჭა სოციალისტებს აწყვეტინებს, ეს სინდისის თავისუფლება კი არ არის, არამედ მონობაა. თუ ყოველი ადამიანი ისე ონდა მოიქცეს, როგორც მას სინიდისი უკარნახებს, სოციალისტებს რა საქმე აქვთ აქ? აბა, ვიბრძანოს ბ. ხოტეველმა, ქართველმა მშიბლებმა როდის სთხოვეს მას და მის სოციალისტებს, სახარება გამოდევნეთ სკოლიდან და ის ჩვენ შვილებს არ ასწავლოთო? ქართველმა ერმა როდის განუცხადა მათ, ქრისტიანობა არ მინდა, რჯული უნდა გამოვიცვალოთ? ქართველმა ერმა როდის დაავალა იკლესიებს ჩამოართვით ყოველივე ქონება, გაკარცვეთ და სახელმწიფოდან გამოჰყავითო?

ქართველმა ერმა პირიქით ეს რა მოითხოვა: ჩვენ შვილებს სახარება ვასწავლეთ სკოლაში.. სახარების სწავლება ენკენისთვიდან შემოიღეთო; ჩვენს რწმენას, ეკლესიას და დღესასწაულებს არავინ შეეხოსო; ჩვენი ოფლი მოპოვებული ფულით, რომელიც საქართველოს ხაზინას შეადგენს და რომლითაც ინახება სახელმწიფო, მთავრობა მოვალეა ეკლესიაც და სამღვდელოებაც შეინახოსო, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფისაო.

თუ მთავრობამ ძალით გამოყო ეკლესია სახელმწიფოდან, მაშინ ის მთავრობა მოვალე იქნება დააკმაყოფილოს ეკლესია მიწით, ტყით, წყლით, ეზით, რიგორც რუსეთთან შეერთებამდე იყო. აღუდგინოს ის ქონება, რომელიც რუსის მთავრობამ გაყიდა ან სხვანაირად მოიხმარაო, დაუბრუნოს ეკლესიას ყველა შენობები თავისი პანსიონებით და ქონებით, რომელიც მთავრობამ ჩამოართვა და გაფლანგა.

აღუდგინოს ეკლესიას ყველაის ქონება, რომელიც ქურდებმა დაიტაცეს მთავრობისმიერ ყურადღების მიუქცევლობის გამო. საეკლესიო მიწებს ჩვენც კარგად მოუვლიან მთავრობის დაუხმარებლივ და ეკლესიასაც შევინახავთო.

საქართველოს ყოველი კუთხის წარმომადგენელმა—დელეგატებმა ასე განაცხადეს საეკლესიო კრებაზე წარსულ თიბათვეში, რომელსაც დესწრო 126 ერის კაცი და 118 მღვდელ-დიაკონი. დელეგატებს სურდათ თვით მთავრობის თავმჯდომარისათვის პირადათ მოეხსენებიათ ყოველივე, მაგრამ ბ. თავმჯდომარემ; ავადმყოფობის გამო, თუ სხვა რაიმე მიზეზით არ მიიღო დელეგატთა წარმომადგენლები.

ჩვენმა მთავრობამ არც თვითონ მიიღო დელეგატები და არც არავინ გამოგზავნა კრებაზე. არ დაინტერესდა არც კრების შემადგენლობით, არც საქმით და არც იმით, თუ რას მოითხოვდა ქართველი ერი დელეგატების პირით. ზოგმა დელეგატთაგანმა კიდეც სთქვა, მინისტრებს მაშინ ვაჭრობებით, როცა პორტფელებს და თავისს პარტიულ ინტერეს იცავსო.

ბ. ხოტეველი მედგრად იცავს ვითომ ქართველ მშრომელ ერის ინტერესს და ახალ უღელს კი ადგამს ქართველ ერსა. ის ბრძანებს: „ჩვენს სამღვდელოებას სახელმწიფო ხაზინიდგან ჯამაგირი იმიტომ არ უნდა ჰიეცეს, რომ სახელმწიფო ხაზინა ეკუთვნის არა მარტო მართმადიდებელ ხალხს, არამედ მთელს ერს: განურჩევლად სარწმუნოებისაო... განა სამართ�იანი იქნება, მართლმადიდებელი სამღვდელოების შენახვა დავაკისროთ ქართველ კათოლიკეთ, ებრაელებს, სხვა სარწმუნოების აღმსარებელთ და მათაც, ვისაც რწმენა სრულიად არ აქვსო“: ჩვენ საქართველოს არა ნაკლებ ხოტეველისა ვიცნობთ, მაგრამ ურწმუნო ქართველი დაბეჯითებით ვიტყვით, არ არსებობს.

ხაზინა მოვალეა დააკმაყოფილოს სარწმუნოების მხრივ მოთხოვნილება მართლმადიდებელისაც, კათოლიკისაც, მუსულმანისაც, ებრაელისაც და სხვა. თუ სახელმწიფო და ხაზინის პატრონი ხალხია, ხალხის სურვილი და მოთხოვნილება უნდა სრულდებოდეს.

შეეგნონ უნდა სოციალისტებმა რომ მათ არაფერის შექმნა და გაკეთება არ შეუძლიანთ, გარდა დაქცევა—დამხობისა. მათი სიკერბით ქართველი ერის სცხოვრება მიწასთან გასწორდა, ინგრევა და ისპობა და დღეს თუ არა, ხვალ მოსთხოვს მათ ქართველი ერი პასუხს.

არ შემიძლია უყურადღებოდ დავსტოვო შემდეგი მოსაზრებაც ბ. ხოტეველისა: „ბურჟუამ კარგად იცის, რომ მართლმადიდებელი სამღვდელოება სამღვთო სჯულის საშუალებით გამოექომაგება ბურჟუაზიულს წესებს... და .დასწყევლის სოციალისტებს.. ნამდვილი სიბეცეა, როდესაც ადამიანი სიმართლეს გაურბის და ბნელ აზრებს ავრცელებს, რათა იმოქმედოს ხალხზე. საღმრთო სჯულის სწავლებას თხოულობენ გლეხები და არა ბურჟუაზია. რომ გლეხები—ქართველი მშრომელი ერი თხოულობს სახარების სწავლებას, ამას საეკლესიო კრების დელეგატებიც ამტკიცებდნენ, რომელიც უფრო უტყუარი წყაროა, ვინემ ხოტეველი. სათქვამია, ჯოხს რომ აიღებენ, ქურდი კატა მაშინვე გაიპარებოო. თუ პოლპილი არ ეიჭამია, პირიდან ეწვეთოს. რად ეშინია ბ. ხოტეველს სახარების გავრცელებისა ხალხში. თუ განათლებულ ქვეყნებში: ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაში და სხვა.. სახარებას ავრცელებენ, პირიქით, ჩვენში სოციალისტებს რაღა აკვნესებთ? ვერ მოუნელებია ხოტეველს სახარების გავრცელება ხალხში და გაიძახის, თუ ხალხმა სახარება შეისწავლა, სოციალისტებს დასწყევლისო. ისეთი სოციალისტები, რომელნიც მხოლოდ სხვის საკუთრებისაკენ იწვდიან ხელებს, დიდი ხანია დასწყევლა მაცხოვარმა:

„ვაჲ თქვენდა მწიგნობარნო ბრმანო, რომელნი დასწურავთ ბურნაკსა, ხოლო ჰქლემსა შთანთქავთ! ვაჲ ქვენ წინამძღვარნო ბრმანო, ოამე თუ შესჭამთ სახლებსა ქვრივთასა.“

გერასიმე იმნაიშვილი.

რედაქტორი: გრ. ვეშაპელი

სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელიქ ქ., 3

გლეხთა ს ყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი საეთანადო დახმარებას აღმოუჩენს ხოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—საზოგადო—საჭიროებათა (ადგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) ზეზე დასაკმაყოფილებლად საეთანადო დაწესებულებათა მიმართ.

ყოველგვარი ცნობები, უამდგომლობანი და სხვა ფასალა მიიღება **თბილისში:** „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ.